ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №2515157

ნომერი: AR1389243

თარიღი : 23.03.2016

გაცემის თარიღი : 31.03.2016

გაცნობის თარიღი : 31.03.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ლუბლიანას ქუჩა N13 / მიხეილ ჭიაურელის ქუჩა N6;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნაზიბროლა მაღრაძე პ/ნ 01013002603
- თბილისი ვარკეთილი 3 II მ/რ კორ. 28 ბ. 33

ნომენკლატურა :

- საავადმყოფო
- III კლასი
- მიშენება ან მიშენება - დაშენება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საავადმყოფო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ნაზიბროლა მაღრაძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "ბლოკ ჯორჯია"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 211362461

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს."მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო"

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404896644
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: შოთა ჯოგლაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01017009366

.სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის (არსებული) ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 50260.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 1387.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 909.1
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 40.85
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 5928.1
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 3206.5
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 2721.6
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 5.45
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 3.05
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 2.4
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 10908.9/50260=0.2
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 36052.1/50260=0.7
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 11560.2/50260=0.2
- .საორდინატორო და საოპერაციო ფარბი (კვ.მ): 868.25

.პროექტირების შედეგად მიღებული ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 50260.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 1387.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 3799.8
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 84.2
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 12284.4
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 9562.8
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 2721.6
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 12.2
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 9.8
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 2.4
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 10908.9/50260=0.2
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 38054.1/50260=0.8
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 11560.2/50260=0.2
- .პალატების ფართობი (კვ.მ): 167.5
- .საორდინატორო და საოპერაციო ფარბი (კვ.მ): 3548.1

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზედ თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

თქვენს მიერ წინა ჯერზე ატვირთული დოკუმენტაციით, ირკვევა, რომ რეკონსტრუქციით ხდებოდა მიშენებაც, ხოლო ამჟამად წარმოდგენილი ანაზომი და საპროექტო ნახაზებით კი რეკონსტრუქციით ხდება მხოლოდ დაშენება, განაშენიანების ფართობის უცვლელად. აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს თქვენს მიერ მოთხოვნილს საკითხზე, საჭიროა ანაზომი წარმოადგინოთ სწორი სახით (უნებართვოდ ნაწარმოები მშენებლობის ასახვის გარეშე) და იმ შემთხვევაში თუ ხდება მიშენებაც, საჭიროა ველში –> მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები: მიუთითოთ აღნიშნული შენობის რეკონსტრუქციაზე გაცემული გაპის რეკვიზიტები ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხოლო იმ შემთხვევაში თუ არ არის დადგენილი გაპი, საჭიროა პირველ რიგში სამსახურის ელექტრონულ მისამართზე www.tas.ge შესაბამისი განაცხადის საფუძველზე საკითხი დააყენოთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენაზე, მხოლოდ მას შემდგომ, რაც სამსახურის მიერ დამტკიცდება საპროექტო ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები და მასში დადგენილი პირობების/მოთხოვნების შესაბამისად დაამუშავებთ პროექტს, შეგიძლიათ მოთხოვნა დააყენოთ ახალი განაცხადის საფუძველზე რეკონსტრუქციის პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემაზე. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არ ხდება არსებული განაშენიანების ფართობის ცვლილება და რეკონსტრუქციით არ ხდება მიშენება, საჭიროა ასევე შესაბამისი ახალი განაცხადის საფუძველზე აირჩიოთ სწორი ნომენკლატურა, მხოლოდ დაშენებით.

ასევე, საჭიროა დამატებით ატვირთოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული დადგენილება სამშენებლო-სამართადარღვევის საქმეზე (რის მიხედვითაც გადახდილი გაქვთ ჯარიმა) და პასუხსიმგებელი ექსპერტის მიერ ხელისმოწერით დადასტურებული კონსტრუქციული დასკვნა უნებართვოდ წარმოებული მშენებლობის გათვალისწინებით, შენობის ტექნიკურ მდგომარეობაზე მისი ექსპლუატაციისთვის ვარგისიანობის შესახებ.

ამასთანავე, თქვენს მიერ წარმოდგენილ ამონაწერში მითითებული სარეკონსტრუქციო შენობის ნუმერაცია (15) არ შეესაბამება საკადასტრო გეგმაზე მითითებულს (16), შესაბამისად საჭიროა მიმართოთ საჯარო რეესტრს და განაახლოთ ამონაწერი სარეკონსტრუქციო შენობის ნუმერაციის ნაწილში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას სრულყოფილად განიხილოს წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გაცნობოთ მასში არსებული ხარვეზების შესახებ დეტალური ინფორმაცია.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.